საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 4 25 0000338990

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. ცენტრის დირექტორის ბრძანება "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო, ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ,,ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სადოქტორო, ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, ,,განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შესახებ №1392763, 30/10/2024, ბრძანებაში ცვლილება № 1458869, 13/11/2024.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, საბჭომ 5.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქედან გამომდინარე, შეიცვალა მე-5 სტანდარტის შეფასება და შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან."

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო, ,,ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ,,ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო,

,,მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სადოქტორო, ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, ,,განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №224606 სხდომის ოქმის №5 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები შესასრულებლად:

რეკომენდაციები:

1. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის დაშვების კრიტერიუმებში არ არის მოთხოვნილი ჯანდაცვის საფუძვლების ან ზოგადი ცოდნა, რეკომენდებულია, პროგრამაში არჩევითი კურსის ნაცვლად სამედიცინო ტერმინოლოგიის კურსი შეთავაზებული იყოს პირველ სემესტრში, როგორც სავალდებულო კურსი;
2. რეკომენდებულია ყველა საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მენეჯმენტი.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის
რჩევები:

1. სასურველია, პერსონალს მიეწოდოს ინფორმაცია პროგრამების შემუშავების, ცვლილებების განხორციელების და შეფასებების ჩატარების მექანიზმების და პროცედურების შესახებ;
2. სასურველია, სასწავლო გეგმის მიზნებში გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო პერსპექტივების გათვალისწინებით;
3. სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს მოყვანილი შესაბამისობაში პროგრამის მიზნები შრომის ბაზრის ტენდენციებთან და დარგობრივ მახასიათებლებთან, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობას;
4. სასურველია, ბუნდოვანი ან ზოგადი მიზნები წარმოდგენილი იყოს გაზომვადი შედეგებით, რომლებიც ასახავენ კურსდამთავრებულების მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს;
5. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, დაკორექტირდეს შეფასების სისტემა ისე, რომ კურსის შეფასების თითოეული კომპონენტის ქულები განაწილებული იყოს ნორმალურად (გაუსის განაწილება) და არ იხრებოდეს შეფასების სკალის რომელიმე ბოლოსკენ;
6. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს ინფორმაცია პროგრამების შესახებ;
7. სწავლის შედეგების რუკა აჩვენებს, თუ როგორ აღწევენ სხვადასხვა სავალდებულო კურსები პროგრამის შედეგებს. აღნიშნული აჩვენებს, რომ შესავალ კურსებშიც კი მიიღწევა შედეგები "მაღალი" დონით, დონეების თანდათანობით ზრდის გარეშე. თუმცა, იმისათვის, რომ პროგრამის სტრუქტურა იყოს გამართული, რუკაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ პროგრამის დასაწყისში შეთავაზებული კურსები წარმოდგენილია შესავალი დონით, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში შედეგები მიღწეული უნდა იყოს გაფართოებული დონით და ბოლოს, ზოგიერთ "შემაჯამებელ" კურსში მითითებული უნდა იყოს, რომ შედეგები მიიღწევა გაძლიერებულ დონეზე;

8. სასურველია, პროგრამებში და სილაბუსებში მკაფიოდ იყოს გამიჯნული სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმები;
9. გასაუბრებების ფარგლებში სტუდენტებმა გამოხატეს სურვილი ლექტორებთან არაფორმალური ურთიერთობების მეტი შესაძლებლობების შესახებ, როგორიცაა ერთობლივი ექსკურსიები. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ ასეთი ექსკურსიები ხშირად უკავშირდება მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს, უზრუნველყოს არაფორმალური აქტივობების ორგანიზების დაფინანსების საკითხი;
10. გასაუბრებებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს შეშფოთება საგამოცდო პერიოდის გამოწვევებთან, კონკრეტულად გამოცდების გადასაბარებლად დამატებითი ფინანსური გადასახადით გამოწვეული სტრესის შესახებ. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად და ზედმეტი წნეხის შესამცირებლად, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გადააბარონ გამოცდები დამატებითი გადასახადის გარეშე;
11. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტური თვითმმართველობა და ომბუდსმენი საკმარისად არ აქტიურობენ მათი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, სასურველია, რომ აღნიშნულმა ორგანოებმა ჩამოაყალიბონ უფრო პროაქტიული მიდგომა სტუდენტების პრობლემების მოსაგვარებლად;
12. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეების დეტალურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შესახებ. სასურველია, პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული აქტივობების შესახებ;
13. პროგრამის პერსონალთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას უნივერსიტეტის შიდა საგრანტო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას. სასურველია, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალის აქტიური ინფორმირება აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ და მათი მონაწილეობის წახალისება;
14. სასურველია, საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებებს;
15. სასურველია დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, განახლების და განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობის პრაქტიკა;
16. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის მიზნების სპეციფიკურობა ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობასთან და ტრანსფერულ უნარებთან დაკავშირებული მიზნებისთვის გაზომვადი შედეგების განსაზღვრით;
17. სასურველია, ჩამოყალიბდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრუქტურირებული მექანიზმები სასწავლო გეგმის განახლებების პროცესში და ციფრული ჯანდაცვის ინოვაციებზე სპეციალიზებული მოდულების გათვალისწინება;
18. სასურველია, სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე პროგრამას დაემატოს კონკრეტულად ჯანდაცვასთან დაკავშირებული უფრო ღრმა ცოდნა, ვინაიდან მათი მოსაზრებით, არსებულ სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ბიზნესთან დაკავშირებულ საგნებზე;
19. სასურველია, "ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საფუძვლების" კურსში დაემატოს ყოველკვირეული თემების შესაბამისი ლიტერატურული წყაროები. აღნიშნული გაამარტივებს კურსის შინაარსს და სავალდებულო საკითხავ მასალას შორის შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას;

20. სასურველია, სტუდენტების მიერ მოსალოდნელი სამუშაო დატვირთვის უკეთ გაზომვის მიზნით, დაემატოს წიგნებიდან კონკრეტული თავების შესახებ ინფორმაცია შემდეგი კურსებისთვის: "სამედიცინო ტერმინოლოგია" და "უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა";
21. სასურველია, "ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების" კურსის ჯანდაცვის სპეციალიზაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიცვალოს კურსის სახელწოდება უფრო ზოგად სტრატეგიულ მენეჯმენტზე ორიენტაციის ასახვის მიზნით ან თუ სურვილია შენარჩუნდეს ჯანდაცვის სპეციფიკური შინაარსი, ჯანდაცვის ორგანიზაციების უნიკალური გამოწვევების და სტრატეგიების უკეთ წარმოჩენისთვის გათვალისწინებული იყოს დამატებითი მასალები, ქეისები და სხვა შესაბამისი რესურსები;
22. კურსში "კვლევის მეთოდები ჯანდაცვის მენეჯმენტში" სწავლის შედეგების ნაწილში ყველა უნარი ჩაწერილია ერთი შედეგის სახით. სასურველია, კურსის შეფასების გამარტივების მიზნით განხორციელდეს აღნიშნული შედეგების დაყოფა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
მზამავლსმეელი
ელექტრონული